ISSN 0132-5865

ეროვნული
ბიბლიოთეკა

572/2
1980/2

დილა

მაისი
5
1980

მუშებმა და გლეხებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინის წინამძღოლობით დაამხეს მეფის ხელისუფლება.

ბედნიერი ცხოვრების ასაშენებლად პარტიას ისეთი დამხმარე და თანაშემწე სჭირდებოდა, როგორც შვილია მამისათვის. პარტიის ასეთი დამხმარე და თანაშემწე ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი გახდა. იგი ლენინმა შექმნა 1918 წელს. ლენინის გარდაცვალების შემდეგ, 1924 წლიდან კომკავშირს ლენინის სახელი ეწოდა, დღეს კი მისი სრული სახელწოდებაა: ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირი.

ახალგაზრდობის იმიტომ, რომ იგი აერთიანებს ლენინის, პარტიის ერთგულ ახალგაზრდობას.

სრულიად საკავშირო იმიტომ, რომ მასში გაერთიანებული არიან ჩვენი თხუთმეტივე რესპუბლიკის ჭაბუკები და ქალიშვილები.

ლენინური იმიტომ, რომ მისი ყოველი წევრი პირობას იძლევა იცხოვროს და იშრომოს ლენინურად.

კომუნისტური იმიტომ, რომ ამ კავშირის წევრები იბრძვიან ლენინის, პარტიის, ხალხის დიდი მიზნის — კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

კავშირი კი იმიტომ ჰქვია, რომ იგი მტკიცე, უდრეკ თანამოაზრეთა არმიაა.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია საკავშირო კომკავშირის ერთ-ერთი მოწინავე რაზმია, იგი 1920 წელს შეიქმნა. ე. ი. მაშინ, როცა საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო დამყარებული საბჭოთა ხელისუფლება. მისი შემქმნელი და პირველი ხელმძღვანელი იყო ბორის ძნელაძე. კომკავშირი იბრძოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთვის; იდგა პირველი ხუთწლეულების ხარაჩოებზე — აშენებდა ქვეყანას; დიდი სამამულო ომის დროს კომკავშირელები როგორც ფრონტზე, ისე ზურგში გმირობის მაგალითს იძლეოდნენ; ომისშემდგომ მძიმე წლებში აღადგენდნენ ომით დანგრეულ ქვეყანას; შემდეგ კი საკოლმეურნეო მინდვრებზე, ენგურჰესის, გზებისა თუ არხების მშენებლობებზე იბრძვიან მშვიდობიანი ცხოვრებისათვის.

ყოველივე ამისათვის იყო, რომ შარშან საქართველოს კომკავშირი ყველაზე საპატიო, უპირველესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

16.407

ცხრა მაისის სალუტი

აკაკი გეწაძე

სალუტია, სალუტი!
ქვემეხები ისვრიან!
ზეცამ გაიუვაგილა,
დღეს ხომ ცხრა მაისია.
უხარიათ სალუტი
დიდებსა და პატარებს,
გამარჯვების ზეიმი
ცას და მიწას ახარებს.
თითქოს ცაში ფერადი
ვარსკვლავები სდებიან,
ეკავილებად ქცეულნი
მთა-ბარს ეფინებიან.
სალუტია, სალუტი!
თაიგულებს ისვრიან!
გამარჯვების დღე არის,—
დღეს ხომ ცხრა მაისია.



ღაშა-ბიჭის ამბავი

ზალვა ამისულაშვილი

ეს მოხდა ჩერნიგოვის მახლობლად, დიდი სამამულო ომის დროს. ერთ უსახელო მაღლობზე ვიყავით გამაგრებული. მარტო ვიყავი, შაშხანის დაშლილ ნაწილებს ვასუფთავებდი და ვაპრიალებდი. მართალია, საფრთხეს არსაიდან არ მოველოდი, მაგრამ ავტომატი მაინც გვერდით მედო.

ის იყო ნაწილების აწყობა უნდა დამეწყო, რომ თავს ჩვენი ათმეთაური წამომადგა, თან ახლდა ვიღაც შავგვრემანი ბიჭუნა, ასე თოთხმეტი წლისა. ასაკთან შედარებით არც ისე პატარა ტანისა იყო. ხელში შავდისკოიანი ავტომატი ეჭირა და თითები ნერვიულად უთამაშებდა.

— იცნობდეთ, პარტიზანული ბრძოლების მონაწილე საშკა ლოშკარინი! დღეიდან ჩვენს ათეულში იქნება. მიაჩვიეთ ტელეფონზე მუშაობას. იცოდეთ, კაპიტნის პირადი ბრძანებაა!—მითხრა ათმეთაურმა.

ბიჭუნას ნერვიულობისაგან თითები უფრო აუთამაშდა და გაბრაზებულმა ჩაილაპარაკა:

— მე საშა ვარ და არა საშკა!..

მომეწონა მისი ასეთი თავმოყვარეობა და გამხდარ კისერზე ხელი მოვუთათუნე. გამიღიმა, მეც გავუღიმე. მარტო ათმეთაურმა შეიკრა შუბლი.

მერე ისევ ჩემს საქმეს შევუდექი. ლოშკარი-

მხატვარი გიორგი როინიშვილი

ნი მომიახლოვდა, თავისი ავტომატიც ჩემი ავტომატის გვერდით დადო და მთხოვა, ნებას თუ დამრთავთ, შაშხანას მე ავაწყობო.

იმ დღიდან ჩვენ უკვე ერთმანეთის უერთგულესი მეგობრები გავხდით.

სწორედ იმ დროს თოფის კონდახით ყბა მქონდა დაზიანებული და „საშას“ მაგივრად „შაშას“ ვეძახდი ხოლმე ჩემს უმცროს მეგობარს. ვატყობდი, სწყინდა, მაგრამ არ იმჩნევდა, ალბათ იცოდა, რა მიზეზითაც მემართებოდა ასე.

ერთხელ ვუთხარი, ამიერიდან ჩვენებური სახელი „ლაშა“ უნდა დაგიძახო-მეთქი. თან ისიც ავუხსენი, სიტყვა „ლაშა“ შუქს, ნათებას, ბრწყინვალებას რომ ნიშნავს. ჭკუაში დაუჯდა ჩემი ნათქვამი, დამეთანხმა და განაგრძო:

— მამა მე აღარა მყავს და დედა, ორივე დაბომბვაში მოყვა. ერთადერთი უფროსი ძმა მყავდა, ისიც ფაშისტებმა ჩამოახრჩეს. „საშა“ მერქმევა თუ „ლაშა“, სულ ერთი არ არის ახლა ჩემთვის?!

სწორედ ამ დროს ძელმიწურიდან ათმეთაურმა დაიძახა:

— ლოშკარინ, რიგოსანო ლოშკარინ, ჩემთან გამოცხადდი!

მცირეწლოვანი მეომრის გვარის ამ გამეორებაში სიტყვა „ლოშკარინმა“ ქართული „ლაშქარივით“ გაიხმიანა ჩემს ცნობიერებაში და „ლაშა-ბიჭად“ მონათლული პატარა უკვე პარტიზანი უკვე მტერზე მიმავალი ლაშქრის წინამძღოლად წარმოვიდგინე.

გულში გავივლე: ამ ბორცვმა იმდენი რამე გადაიტანა ჩვენთან ერთად, რომ ღმერთი მიწასთან გასასწორებლად აღარ გაიმეტებს-მეთქი.

შევცდი. მიჩუმათებული მტერი სულ სხვანაირად ფიქრობდა თურმე. უცებ საჰაერო განგაში ატყდა. მეომრები თვალის დახამხამებაში გაიფანტნენ: ზოგი სანგარში გადაეშვა, ზოგი ძველ ნაბომბარში მოკალათდა, ზოგი — ნაჯუმბარევში, ზოგი ძელმიწურიდან არც კი გამოსულა, აქ უფრო სანდო ადგილიაო.

მე და შტაბიდან ახლად დაბრუნებული ლაშა-ბიჭი სხვა რომ ვერაფერი მოვახერხეთ, იქვე ძელმიწურთან წამოქცეულ ვეებერთელა ხეს წამოვუწექით ძმაბიჭებივით. თან წამდაუწუმ ცას შევცქეროდით კისერმოღრეცილები. თვითმფრინავების გუგუნი თანდათან ახლოვდებოდა.

აგერ, უსახელო მაღლობს თითქმის თავზე მოექცნენ. მწკრივად მოსხლეტილი კიტრის ოდე-

გვიყვარს მაისი

ნოდარ შამანაძე

ჩვენ მაისი მისთვის გვიყვარს,
ყვავილებით გვიდებს კარებს,
პირველ დღესვე საზეიმოდ
დროშების ტყეს გვიდადგენს.
წუთში ცხრაჯერ გააცინებს
ლაჟვარდ ციდან ცხრათვალა მზეს,
საპარადოდ, საზეიმოდ
გვამზადებს და გვალაშაზებს.
ფერად ბუშტებს გვაძლევს ხელში,
სისარულით გულებს გვივსებს,
ტრიბუნასთან ჩაგვატარებს,
გვამდერებს და გვაკისკისებს.
გავისტუმრებთ პირველ მაისს,
რა ზეიმით, რა ხალისით!
და სულ მალე მობრძანდება
გამარჯვების ცხრა მაისი.
ისევ დღესასწაულია,
საზეიმოდ ვიმოსებით,
ომგადახდილ გმირებს ვხვდებით
ვარდებით და მიმოზებით.

ნა ბომბები შემაძრწუნებელი წივილით დაეშვნენ დაბლა. ცოტაც და, აფეთქების ისეთი გამაყრუებელი გრგვინვა-გრიალი ატყდა, თითქოს ცა ჩამოიქცაო. რკინის ნამსხვრევებით იცხრილებოდა ყველა კუთხე და ყველა კუნჭული. გადარჩენაზე აღარ ვფიქრობდით, მაგრამ სიცოცხლეც სიკვდილივით შეუპოვარი ყოფილა... ღიმილმა გაგვიხსნა შუბლი, როცა რომელიღაც თვითმფრინავს ღვინის ვეება კასრი მოწყდა. ახლა მიკიოტური კივილი და სტვენა რომ ატეხა, მე და ლაშა-ბიჭს სიცილიც წაგვსკდა. ეტყობა, ის ოხერი ცარიელა იყო, თანაც განგებ დაცხრილული, რომ შიგ შეჭრილ ჰაერს ასეთი ამბავი დაეტრიალებინა.

კასრი ძელმიწურს დაეცა სახურავზე, ყუმბარასავით გასკდა და ნაფოტებად გაიფანტა აქეთ-იქით. ამ ხმაურიან სანახაობაზე ისედაც თამამი ლაშა-ბიჭი უფრო გათამამდა და ავტომატის ჯერი დაადევნა იმ თვითმფრინავს, რომელმაც ცარიელა კასრის ჩამოგდებით აბუჩად აგვიგდო...

ქუხდა ჩვენი საზენიტო არტილერიაც... სამი თუ ოთხი თვითმფრინავი აბოლდა ცაში... გახარებულმა ლაშა-ბიჭმა ჩემსკენ იბრუნა პირი, ალბათ უნდოდა ეთქვა—მათ აბოლებაში წილი მეც მიმიძღვისო, მაგრამ ენა ველარ დაიმორჩილა, გაფითრებულ შუბლზე სისხლი შევნიშნე, დაჭრილიყო...

პირველი სანიტარული დახმარება მე თვითონ ალმოვუჩინე. მანქანა კაპიტანმა დამითმო. ნახევარ საათში უკვე საველე ჰოსპიტალში ვიყავით. ოპერაციის შემდეგ მთავარმა ექიმმა მითხრა: მძიმე მდგომარეობაშია, მაგრამ იმედი მაინც მაქვს რომ გადავარჩენო...

მას შემდეგ თითქმის სამი თუ ოთხი თვე გავიდა, სად არ მოგვიხდა ბრძოლა. ჰოსპიტლიდან კი არაფერი ისმოდა. კაპიტანმა იმედი დაკარგა, მე კი გულში ვამბობდი: ხალიჩაზე გაზრდილი ბიჭი ხომ არ იყო, ყველაფერს გაუძლებს-მეთქი.

და აი, ჩეხოსლოვაკიაში ყოფნის დროს მართლაც მივიღე მისი პირადი წერილი. მატყობინებდა: უკვე კარგად ვარ, რამდენიმე დღეში ჰოსპიტლიდან გამწერენო... გულიდან დარდი გადამეყარა, მხრებში გავიშალე, ქვეყანა ჩემი მეგონა. ლაშა-ბიჭი ცოცხალი იყო, ცოცხალი!..

ამბავი ბოლოვანი ჩიტისა

სოლომონ
დევზარიანაშვილი

ჩემი დაბადების დღე აპრილის მიწურულს გაბლავთ. სიმართლე გითხრათ დიდი ნადიმ-წვეულება არასოდეს გადაგვიხდია, შინაურებს თუ გავახსენდებოდი, მოვიდოდნენ, ჭიქას ჭიქაზე მიურტყამდნენ მამაჩემს, დიდი და კვეიანი ბიჭი გაგიზარდოსო, დაულოცავდნენ ჩემს თავს და წავიდოდნენ ვალმოხდილნი.

წლევანდელი დაბადების დღე კი ცოტა უჩვეულო იყო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ათი წლისა გავხდი, მეორე, პაპაჩემი გვესტუმრა სოფლიდან და მესამეც... აი, სწორედ ეს არის თავი და თავი მიზეზი იმისა, რაც ახლა უნდა გიამბოთ.

როგორც გითხარით, კვირა დილას, სწორედ ჩემი დაბადების დღეს, პაპაჩემი დაგვადგა თავზე. ხეზეშით შემოვიდა, „ძღვენი და მოსაკითხი ერთ კუთხეში მიალაგა და ცაიროხროხა: აბა, აბა სად არის ჩემი ბიჭიო. შენი ბიჭი ლოგინში ნებიერობსო, აუხსნა დედაჩემმა. საბანს ხან თავზე წავიხურავდი, ხან გადავიხდიდი, არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავ, როგორ დავხვედროდი პაპაჩემს და ამასობაში ისიც დამადგა თავზე. ჰაიტ, შე ქალაქელოო, დამიტატანა, მერე ახლოს მოვიდა, დათვივით დიდი ხელი თავზე დამადო, ნაზად მაკოცა და მითხრა:

— როგორა ხარ, ბიჭო? რად დამივიწყე, აბა ერთი ჩამოდი, რა კვიცი მოიგო ჩვენმა ჯერანამ! შენ უნდა გახვიდნო ის კვიცი, შენ!

აი, ასე შევხვედით მე და პაპაჩემი ერთმანეთს.

ხელკასრით ღვინო, გუდის ყველი, ინდაური, ქათმები და ბებიაჩემის გამომცხვარი შოთი პურები, აი, ის ძღვენი, პაპაჩემმა რომ ჩამოიტანა ჩემი დაბადების დღეზე. მამაჩემსაც მეტი რაღა უნდოდა, მე თქვენ გეტყვით და სტუმარს ვერ იშოვნიდა. ხომ გაგიგიათ, თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბალდადიდან მოვალ. აიღო ტელეფონი და ნაცნობ-მეგობრებს ჩამოურეკა. შუადღის ხანს სტუმრებმა ბლომად მოიყარეს თავი, საღამომდე ოლხინეს, სვეს, ჭამეს და ბინდისას დაიშალნენ. პაპაჩემი ღვინოს ნაკლებად სვამდა, ცდილობდა სულ ჩემთან ყოფილიყო და სოფლის ახალი ამბები ეამბნა. ყველა რომ წავიდწამოვიდა, დედაჩემმა სუფრის ალაგება დაიწყო, ნატეხ პურებს თავი მოუყარა და სანაგვეში ჩაუშახა. ამის შემხედვარე პაპაჩემი აილურსა, უხმოდ უკურა დედაჩემს და მერე მწარალად უთხრა:

— ეგ რა ჰქენი, შვილო, პურს სანაგვეში ჩყრი!

დედაჩემი გაოცდა.

— მაშ რა ვქნა, მამა, ვის ეაჭამო ეს ნატეხები?

— ჰაი დედისა,—თავი გადააქნია პაპაჩემმა,— ეს ქვეყანა კიდევ როგორ აგდია. რამდენი თქვენისთანა ცხოვრობს ამ ტიალ ქალაქში, თუ ისინიც ასე ჩყრიან პურსა, კარგი დახლი დაგვიდგება.

დედაჩემს აღარაფერი უთქვამს. უხმოდ განაგრძო მაგიდის ალაგება. პაპაჩემიც გაჩუმდა, თითქოს თავის ნაუბეში შეიკეტაო, ენაზე ქვა დაიდო და გაირინდა. პაპაჩემის ხასიათი ვიცოდი, როცა რამე ეწყინებოდა, შუბლს შეკმუხნიდა და გაჩუმდებოდა.

მეორე დღეს, როცა პაპაჩემს გავუბედე და ვუთხარი, გუშინ რად გაბრაზდი-შეთქი, მან ასეთი რამ მიამბო:

— პური, შვილო, ჩვენთვის წმინდა საგანი იყო. დიდ ცოდვად ითვლებოდა, ვინც მას უდიერად მოეკარობოდა. განზრახ კი არა, ანაზდად რომ გაეარდნოდა ხელიდან ქართველ კაცს პურის ნატეხი. აიღებდა, სულს შეუბერავდა და აკოცებდა. პურია ლონე კაცისა, სხვას სხვა შეაცვლის, პურს კი ვერაფერი შეეცვლება. აბა დაიკვირდი, რას ვეძახით ხორბლის მოსავალს!—ჭირნახულია. ესე იგი ბევრი ჭირი უნდა გამოველო, ბევრი ოფლი უნდა დაღვრილიყო, ვიდრე ხორბალი გამომცხვარ პურად გადაიქცეოდა. მართლაც, რომ ასეა. თქვენ მზამზარეული მოგდით და ის კი არ იცით, რამდენი შრომა სჭირდება. აბა, კარგად მისმინე, თავიდან უნდა დაიწყო და გიამბო, როგორ მოკაფთ პური. ჯერ ის წარმოიდგინე, რამოდენა მიწა უნდა მოიხნას და მერე დაიფარცხოს, რომ საყანედ გამზადდეს. მანამდე კი სათესლე ხორბალი ხელით უნდა გადაარჩინო, დალბო და ისე გაიტანო დასათესად. ეს ყველაფერი შემოდგომით ხდება. დათესავ ხორბალს და მერე ცას შეეყურებ, როგორი ამინდი წვიმ, წყალში ხომ არ ჩაგიყრის შრომას.

მიიწურება ზამთარი და ჯეჯილიც ამოხასხასდება. ნახი, მთლად ნორჩი ჯერ ძლივს ემჩნევა მიწას, მერე კი, გაზაფხულზე, თვალის გასახარად ამოშიშინდება, თან ამოჰყვებიან ყაყაჩოები, წითლად გაიწლებიან ამ მწვანედ მოლიელივე ზღვაში და ამის შემხედვარე კაცს რაც უნდა მწარე სიცოცხლე გჭონდეს, მაინც გაგიღიმებს. ეს ამბავი ჩემმა ბიჭო, რომ ეს ყველაფერი დღეს მანჭანით კეთდება, მაინც ბევრი ოფლი იღვრება. ჯეჯილს გამარგვლა სჭირდება, სარეველა ბალახებისაგან გაწმენდა. ამას კი დღესაც ხელით აკეთებენ. შემოდგომით დათესილი ყანა ივნისში დაითავთავებს, ნაყოფი დამსხვილდება და სიმძიმისაგან თავს ჩაკიდებს. მერე ზაფხულის სიცხეზე თავთავი შემოვა, დამწიფდება და კიდევ დადგება ეამი მკისა. ახლა რა უჭირს, შევა კომბაინი, კიდეც მომკის და კიდეც გალეწავს. მანამდე უნდა გეწახა შენ, როცა ხელით მკიდნენ. შეესეოდნენ მკელები ნამგლებით ხელში „ბოპუნას“ ძახილით და პატარ-პატარა ძნებად შეკრავდნენ თავთავს. თანაც დროზე უნდა მოემკათ, რომ თავთავი არ ჩაშლილიყო და მიწაში არ ჩაბნეულიყო, თორემ იმას რაღა წამოკერეფავდა.

მერე კალოზე მიზიდავდნენ, გაამზადებდნენ კალოს, მორწყავდნენ, დატკეპნიდნენ, სუფთად მოგვიდნენ, ჩაშლიდნენ ძნებს, კალდოს მოატარებდნენ ზედ, ერთი სიტყვით საკერად გამზადებდნენ და დაიწყებოდა პურის ლეწვა. ეს ყველაფერი ნამდვილი ზეიმი იყო, სადაც დიდ-პატარაობად ყველა მონაწილეობდა. ზეიმიც იყო და დიდი ჯაფაც. შეგამზადნენ კვერში ცხენებს ან ხარებს, დაუჯდებოდნენ

მხატვარი რევაზ სუსქირიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კევრზე და უვლიდნენ გარშემო კალოს. ერთი კაცი უკან მიჰყვებოდა ორთითით ხელში, ძნას აბულულებდა, რომ გაულეწავი არაფერი დარჩენილიყო. მერე იდგნენ და უცდიდნენ ნიავს, ნიჩბით მაღლა ისროდნენ ნალეწს და ბზე ცალკე მიდიოდა, ხორბალი ცალკე. ასე მოაქუჩებდნენ ხორბალს, მოიტანდნენ შინ, ისევ გაანიავებდნენ და გაჰფენდნენ მზეზე გასაშრობად, რომ წისქვილში არ ენედლა და წესიერად დაფქვილიყო. წელანაც გითხარი, შვილო, ეს ყველაფერი ახლა იოლად კეთდება კომბაინით, მაგრამ მაინც დიდი ჯაფა სჭირდება ხორბლის აღებასა და დაბინავებას. ჩამოდი ერთ ზაფხულს და შენი თვალით ნახე იმ გაგანია სიცხეში რამდენს შრომობენ კომბაინერები და მემინდვრეები.

იმას გეუბნებოდი, მზეზე გამშრალ ხორბალს ჩავყრიდით საცალოში, შევაგდებდით ურემზე და, ჰერი წისქვილისაკენ. ვისაც ბევრი ჰქონდა, მთელი ზამთრის მარაგს დაფქვავდა, ვისაც არა და სადმე უნდა ეშოვნა, ან ფულით ეყიდა ან ღვინო გადაეცვალა ხორბალზე და ნაწილ-ნაწილ დაეფქვა წისქვილში. აბა უპუროდ ხომ ვერ გაძლებდა. წავიდოდით წისქვილში, თან ორიოდე ხელადა ღვინოს წავაყოლებდით თავისი პურ-მარილით და მთელ ღამეს იქ გავატარებდით, ვიდრე ის ერთი საცალო ხორბალი ჩამოიფქვებოდა. ზოგჯერ იმ წისქვილშიც რიგი იყო და ორ დღე-ღამესაც გვიწევდა ლოდინი. შუაღამემდე ვფხიზლობდით, ვმასლაათობდით მეწისქვილენი. მერე კი ხვიმერებს დავავსებდით ხორბლით, ჩამოვუშვებდით სარეკელას და მივიძინებდით. ღრიტინებდა თავისთვის წისქვილი, ნელ-ნელა ფქავდა და როცა ხვიმერა ჩამოთავდებოდა, სარეკელა ჟღარუნით გვამცნობდა, საფქვავი შემომაკლდა და ხვიმერაში ჩაუმატეთო. იმ საცალოებს ახლა ფქვილით გავტენიდით, შინ მოვიტანდით და ვანგარიშობდით, რამდენი გამოცხობა გამოვიდოდა, რამდენ ხანს გვეყოფოდა. ახლა პურის გამოცხობა თქვი, რამდენი შრომა უნდა! ზუნგლიან ზამთარში გაათბე წყალი, მოზილე ცომი, თანაც უნდა ეცადო ან თხელი არ მოგივიდეს ან სქელი, არ გაფუვდეს ან უფუარი არ იყოს, თორემ თონეში თავს არ დაიჭერს, ჩაცვივდება და პური გაოხრდება. თონის გახურებასაც დიდი ყურადღება უნდა, შვილო. არც ძალიან უნდა გაახურო, არც უნდა დააკლო. ზოგჯერ ფიჩხი არა გვქონია თონის გასახურებლად და დაგვიცდია, რომელიმე მეზობელი როდის გაახურებდა თონეს, რომ ნახურებზე ჩვენც ჩაგვეკრა. ახლა პურის ჩაცხობა თქვი! აბა, როგორი ბიჭი ხარ, ჩაეკიდე გახურებულ თონეში! ნამეტნავად მაშინ, როცა სიცხე ბუგავს ყველაფერს. და აი, ბოლოს ამოყრი თონიდან ამ დალოცვილ პურს და მთელი კვირა არხეინად ხარ, თანაც თავზე ევლები, იცი, რა გაჭირვებით მოდის, და უფრთხილდები, ნამცეცს არ გადააგდებ უქმად. ეჰ, შვილო, რამდენი გაჭირვება გადაგვიტანია უპუროდ. ბევრჯერ ერთი ნატეხი პურიც არა გვდებია სახლში, მთელი მეზობლობა ჩამომივლია და ერთი პური ვერსად მიშოვნია იმიტომ, რომ არც სხვასა ჰქონია. სხვისი არ ვიცი შვილო, მაგრამ ალბათ ქართველებს პურის გაჭირვება ათა-ბაბადან მოგვდევს, რადგან მიწა არა გვყოფნიდა. ამიტომაც ასე ველოლიავებოდით. ახლა რაღა ღმერთი გაგიწყრათ! რაც გუშინ დედაშენმა პური გადაყარა, ხუთ მშიერ კაცს დაანაყრებდა. თუ ყველა ასე იქცევა ამოდენა ქალაქებში, მაშინ დიდი გაძლება ჰქონია შვილო, ჩვენს ქვეყანას.

პაპაჩემი დადუმდა. ღრმად ჩაფიქრდა. ალბათ იმ მწარე მოგონებაში ჩაეფლო.

და მე ვგრძნობდი, რომ ახლა მას თვალწინ ედგა მობიბინე პურის ყანა, კალოზე ჩაშლილი თავთავი და წისქვილი, მთელი ღამე რომ გააქვს ღრიტინი და მესაფქვავენი მოთმინებით ელიან, როდის ჩამოთავდება მათი საფქვავი, რომ შინ დროზე მიიტანონ ფქვილი და ჯალაბს პური დაუცხონ.

ფილმი დელფინზე

ალექსანდრე ტაბატაძე

ფერად ფილმს იღებს დელფინზე
კინოსტუდია „ლენფილმი".
ზღვა არის მშვიდი, ნელთბილი,
სხარტად დაცურავს დელფინი.
დელფინმა შეჰკრა კამარა,
ნაპირზე ჩართეს კამერა.
რეჟისორს მოსწონს: „კარგია,
შესანიშნავი კადრია!"
ყველას დელფინის ხათრი აქვს,
ნამდვილ მსახიობს ადრიან.
ერთხელ სილაზეც წამოწვა
ეშხში შესული დელფინი,
სილამ სხეული აუწვა
გახურებულმა ღველფივით.
მერე ჩაჰკრა და ჩაუვინთა
(კამერას მოხვდა სიპი ქვა),
ოპერატორი გაუვითლდა,
გაგვიბრაზდაო, იფიქრა.
მაგრამ სულ მალე ტალღებში
გაჩნდა მეორის თანხლებით.
ოპერატორი გალაღდა
და გადაღებაც განახლდა.
ზღვაში მეცურდა გლისერით,
წინ გაიწვდინა კისერი,
იღებს და ჰკითხავს გზადაგზა:
— ხომ შეასრულებთ ტრიუკებს?
— ოღონდ გვიბრძანე, მზადა ვართ! —
ორივე ერთად მიუგებს.
ისიც ხალისით იღებს და
ავსებს და ჟვსებს კასეტებს,
ზოგჯერ გვერდით მჯდომს მიხედავს:
— არ შევხვედრივარ ასეთებს! —
ეტყვის და თავსაც გაიქნევს,
კმაყოფილია ძალიან:
— ახლა ხომ მაინც გაიგე,
რა ჭკვიანია, მამია! —

მაგრამ უეცრივ რა მოხდა —
ოპერატორი წყალში
გადმოვარდა თუ გადმოხტა,
ნეტავი საქმე რაშია?
ოპერატორი იხრჩობა,
კამერა გდია გლისერზე...
— ახლაა ჩემი ბიჭობა! —
ფიქრობს და ყვირის: „მი-შვე-ლეეთ!"
და სასწაული რამ მოხდა —
თითქოს ხმა ესმათ დელფინებს,
ორივ მის ცხვირწინ ამოსხლტა
და გადარჩენას შეჰპირდნენ.
.. ერთს დაეკიდა კისერზე
და ნაპირისკენ გაცურეს,
თითქოს კვლავ იჯდა გლისერზე,
მიადგა ნაპირს სასურველს.
ნაპირზე ატყდა ხმაური,
ყველა აქებდა დელფინებს,
იქაურნი თუ სტუმრები
პლიაჟზე გამოეფინენ.
როდესაც მიწუდა უიკინა,
ოპერატორმა ნაპირთან
ხელები თავში იშინა,
ლამის ბავშვივით ატირდა:
— არ ვინატრებდი არაფერს,
მე ვუოჯილიუავ გლისერზე
და გადამეღო კადრები,
დელფინებმა რომ მიშველეს!
მას რეჟისორმა ჭაღარამ
უთხრა:
— ნუ სწუხარ ძალიან,
მე გადავიღე, აბა რა,
ბედი გვქონია, მამია!
როდესაც კადრებს ავაწყობთ,
ისეთ ფილმს ჩავაწიკწიკებთ,
ყურებით ველარ გავამღებთ
პატარებს — ესაჭიკჭიკებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანგანუმის ქალაქი

ჭიათურელმა სოსო იმერლიშვილმა და თბილისელმა მამუკა ორბელაძემ დასასვენებელ სახლში გაიცნეს ერთმანეთი, იქ დამეგობრდნენ და განშორებისას გადაწყვიტეს ერთმანეთს წერილებით გაუბრაბოდნენ.

აი, რას წერდა მამუკა სოსოს:

* * *

დასასვენებელი სახლიდან რომ დავბრუნდი, მამამ მესამე კლასის ყველა სახელმძღვანელო დამახვედრა და ძალიან გამახარა. მეც ბანაკში გატარებული დღეების და შენთან დამეგობრების ამბავი ვუამბე.

მამაჩემი გეოგრაფიის მასწავლებელია და სამუშაო ოთახში ათასხარი რუკა უკიდია—პოლიტიკური, ეკონომიკური, ისტორიული...

მე მე-19 საუკუნის 80-იანი წლებით დათარიღებულ საქართველოს რუკაზე შენს ჭიათურას დავუწყე ძებნა. საჩხერე... შორაპანი... ზესტაფონი... ნავაყევი თითით ყვირილის ხეობას, მაგრამ ჭიათურას ვერ მივაგენი. გავოცდი:—მამა, ჭიათურა რატომ არ არის-მეთქი ამ რუკაზე?

მამამ საქართველოს ახალთახალ რუკასთან მიმიყვანა:

— აბა, ნახე,—მითხრა,—ძველ რუკაზე რომ არ იყო აღნიშნული, შეცდომა არ გეგონოს. შორაპანი და მისი ციხე უხსოვარი დროიდან არის ცნობილი, ასევე საჩხერე და ჯრუჭი... ჭიათურა კი ამ ასი წლის წინათ უბრალო სოფელი იყო.

მწირ, გამოფიტულ ნიადაგზე ბალეხი ვეფაფერს იწვდა თავისი ოფლისა და გარჯის საფასურს, მაგრამ ჭიათურას ჰქონდა დიდი სიმდიდრეც—ეს იყო მანგანუმის მადანი ანუ შავი ქვა, როგორც მას ადგილობრივი მკვიდრნი ეძახდნენ და ახლაც ეძახიან.

თურმე მანგანუმი აუცილებელი საკაზმივით უნდა შეუერიო რკინას ნობის დროს, თუ გინდა, რომ ფოლადი მიიღო, თან მაღალხარისხოვანი ფოლადი, აი, იმის მსგავსი, ხალიბურს რომ ეძახდნენ ჩვენი მამა-პაპანი.

ჭიათურის მადნის მსგავსი მადანი თურმე სულ სამოოთხი თუა დედამიწის ზურგზე. მაგრამ ეს მადანი უქმად და უყურადღებოდ იყო მიტოვებული, ვიდრე აკაკი წეროეთელმა არ დაუდო სათავე მის მოპოვებას ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ. ეს იყო ასი წლის წინათ. ყვირილის მარჯვენა სანაპიროზე, ვიდრე დღევანდელ ჭიათურაში შეხვიდოდე, სოფელი ხალიფაური ყოფილა. მის ფერდობზე დაუწყიათ შავი ქვის მოპოვება.

მალე ჭიათურის მადნის ამბავი მთელ მსოფლიოს მოედო. მოაწყდა ხალხი ყვირილის ხეობას. რომელი ქვეყნის კაპიტალისტებს, რომელ ენაზე მოლაპარაკე ხალხს არ ნახავდით აქ. მაგრამ ლარიბ-ლატაკი ჭიათურელი მშრომელის ცხოვრება სულაც არ გაუმჯობესებულა. ძვირფასი მადნის მოპოვებით უცხოელი კაპიტალისტები ისქელებდნენ ჯიბეს. მერე ჭიათურა საქართველოს მთავარ სარკინიგზო მაგისტრალთან დააკავშირეს და უმნიშვნელო იმერული სოფელი მაღაროელთა ხალხმრავალ ქალაქად იქცა. ამის შემდეგ დაუტანიათ ჭიათურა რუკაზე.

16.402

აი, რა საინტერესო ამბები მიამბო მამაჩემმა შენს ქალაქზე.

* * *

სამი თვის შემდეგ უკვე სოსო უამბობდა მამუკას თავისი ქალაქის ამბავს:

* * *

საშვიდნოემბრო ზეიმის შემდეგ ჭიათურაში დღესასწაული გაგრძელდა. ერთი კვირის შემდეგ აღინიშნა მანგანუმის მოპოვების ასი წლისთავი.

ნეტავი, მამუკა, შენც ჩემთან ყოფილიყავი და შენი თვალით გენახა ჩვენი ზეიმი. ჭიათურის სამხრეთით, პერეკეისის ქედზე საბჭოთა საქართველოს დროშა აკიაფდა. რომ იცოდე, რა საოცარი სანახავია ეს დროშა ღამით.

მთავრობამ ჭიათურა შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა. ზეიმზე თბილისიდან რესპუბლიკის ხელმძღვანელები ჩამოვიდნენ. რა ამაყად მოაბიჯებდნენ იმ დღეს მაღაროელები! სამთამადნო კომბინატის დროშაზე მათი გმირული შრომის ჯილდო—ლენინის ორდენია! იმ დღეს ყველა ზეიმობდა—პირველი სტახანოველები—ტრიფონ ფოფხაძე, ვასილ სამხარაძე, პლატონ ბოყოველი, პეტრე გოგატიშვილი... დღევანდელი გმირები—გრიგოლ ტყემალაძე, პეტრე ჭიტაძე, გიგა ბაქრაძე, იური ბირბიჩაძე... ახალგაზრდობა... ყველა ზეიმობდა, ყველა ჭიათურელი ბედნიერი იყო და გაამაყებული...

ზეიმის დღეს მოწაფეებმა დავთვალიერეთ ჭიათურის მაღაროები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სტალინის სახელობის რევოლუციური მუზეუმი. აქ გავიგეთ, რომ 1905 წელს ჭიათურელ მუშათა დიდი მღელვარება მომხდარა და მისი მოთავე კობა ჯუღაშვილი—სტალინი ყოფილა.

მუშათა მღელვარების მიზეზი, მათი მუშაობის უმძიმესი პირობები იყო. დღეს კი სულ სხვაა. მაღაროელების შრომას საგრძნობლად აიოლებს ახალი ტექნიკა.



მაღაროში ვნახეთ სხვადასხვა ბიდან როგორ მიიპოვებენ მადანს; ლია კარიერზეც ეუცქირეთ [illegible] თუმები როგორ მიიკვლევენ [illegible] ძრეებისაკენ...

ნაშუადღევს კი „მაღაროელის" სტადიონზე დიდი სპორტული ზეიმი გვქონდა.

შეღამებისას ჭიათურის ცა ფეიერვერკმა გაანათა. აენთო წითელი ასოები: „ზეიმობს ასი წლის ქალაქი, ჭიათურა!"

ერთი სიტყვით დიდებული სახახავი იყო ყველაფერი!

მამუკას და სოსოს წერილები გვაცნობს გივი შეყილაძე

ბურთაულა ოთხი

ფეხბურთი

ალბათ არ მოიძებნება ქვეყანაზე ბავშვი, ბურთის თამაში რომ არ უყვარდეს. დედამიწის ზურგზე მრავალნაირი ბურთაობაა გავრცელებული: ეს კალათბურთიო, ეს ხელბურთი და წვალბურთიო, ეს ფრენბურთი და ჩოგბურთიო, მაგრამ ყველაზე მეტად დიდსა და ჰატარას მაინც ფეხბურთი უყვარს. ვინც თამაშობს, ხომ თამაშობს, ვინც არა და,—გულშემატკივარია, ამოჩემებული ჰყავს რომელიმე გუნდი, ახარებს მისი გამარჯვებები, გულს უკლავს მისი მარცხი.

სად და როდის გაჩნდა ფეხბურთი?

ბურთს ჯერ კიდევ სამი ათასი წლის წინათ დასდევდნენ ძველი ეგვიპტელები, ბერძნები, ჩინელები. ამასთან ჩინელებს ერთი ასეთი წესი ჰქონდათ თურმე — დამარცხებულებს ბამბუკის ჯოხებით სცემდნენ.

ნამდვილი, დღევანდელი ფეხბურთი კი ინგლისში

აღმოცენებულა. იგი მეტად ჰოჰულარული ეოფილა. მეფეს შეშინებია, ხალხი ამ თამაშს თან გადაყვებაო და ფეხბურთის გაუქმების ბრძანება გამოუქვეყნებია. ეს მეფე ედუარდ II გახლდათ, იგი 1284-დან 1327 წლამდე მეფობდა. მისი მეფობის ხანაში თუ ვინმეს ფეხბურთის თამაშზე წაასწრებდნენ, ციხეში სვამდნენ. მაგრამ ხალხი არ დაემორჩილა მეფის ბრძანებას, ფეხბურთი ისე უყვარდათ, რომ ვერ დათმეს—ისევ და ისევ თამაშობდნენ.

ინგლისელმა მეზღვაურებმა ეს თამაში სხვა ქვეყნებშიც შეიტანეს, მათ შორის საქართველოშიც. ბევრ თქვენგანს ალბათ უნახავს ქართული ფილმი „ჰირველი მერცხალი", სადაც მიმზიდველად არის ასახული, თუ როგორ მკვიდრდებოდა ფეხბურთი დასავლეთ საქართველოში, ჩვენს ზღვისპირეთში.

ცხადია, ფეხბურთი მუდამ ისეთი რადი იყო, როგორიც დღეს არის. მაგალითად, წინათ კარის ნაცვლად ორი ბოძი იყო ჩარჭობილი და არც ბადე ეკიდა უკან. ფეხბურთელებსაც არ ეცვათ დღევანდელივით მაისურები, ტრუსები და ბუცები—ვისაც

მხატვარი სოფიო კინწურაშვილი

როგორ მოეჭრიანებოდა, იმგვარად ჩაცმული თამაშობდა. ჰირველად ფეხბურთს მსაჯიც არ ჰყავდა. მერე მსაჯი გაჩნდა. მას სასტვენის ნაცვლად ხელში ზარი ეჭირა და ისე დარბოდა მოედანზე. ამ ორმოციოდე წლის წინათ შემოიღეს ზურგზე დაწერილი ნომრები.

კარგი ფეხბურთელი სალხს ძალიან უყვარს. მსოფლიოს უდიდეს ფეხბურთელად ეს ათი წელია, ბრაზილიელი ჰელეა აღიარებული. მრავალი სახელმოხვეჭილი ფეხბურთელი ჰყავდა საქართველოსაცვის არ გაუგონია ჰაიჭამის, ოოღობერიძის, მესხის, მეტრეველის, ხურცილავას სახელები.

ჩვენი რესპუბლიკის მთავარი გუნდია თბილისის „დინამო“: მან შარშანწინ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა, შარშან კი— თასი. ბევრი ჩვენი ფეხბურთელი შეევანილია საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში.

მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე ფეხბურთელთა დიდი ტურნირიც გაიმართება. ჩვენს დედაქალაქში ბევრი ქვეყნის ძლიერი ნაკრები გუნდები ჩამოვლენ. ფეხბურთელთა შეჯიბრებები მოსკოვის გარდა გაიმართება კიევში, მინსკსა და ლენინგრადში.

გაუმარჯოს ხელებს

ცირა ქიტიაშვილი

გამრჯე მკლავი,
მარჯვე მაჯა
სიკეთისთვის გაისარჯა.
გაუმარჯოს ასეთ ხელებს:
ხუროს ხელებს,
მსვნელის ხელებს,
მებაღის თუ მებათქაშის—
საქმეში რომ გასახელებს.
ხელმა შექმნა კაცი კაცად,
კოსმოსშიც მან აიტაცა.
დამარღვეულმა,
დაღარულმა—
მაფს ართავს თუ
მოჰყავს ბური—
კარგად იცის რა აკეთოს,
იცის სალხის საამსახური.
გაუმარჯოს გამრჯე ხელებს:
ხუროს ხელებს,
მრთველის ხელებს,
მფრინავის თუ მეფოლადის—
საქმეში რომ გვასახელებს.

ჭიანჭველას გემი

ირინა იაკობლევა

ერთხელ პატარა ჭიანჭველამ ფიჭვის ქერქისაგან გემი გააკეთა, დიდხანს იშრომა და კარგი გემიც გამოუვიდა! ყველაფერი ჰქონდა: იალქანი, საპე, კაპიტნის ბოგაც კი.

ჭიანჭველამ გემი წყალში ჩაუშვა. ქარს რომ არ წაელო, მაგარი ბაგირით ტირიფის ტოტს მიაბა, თვითონ კი ნაპირზე ჩამოჯდა და ბალახის ღეროსაგან საშვეიდ რგოლის კეთებას შეუდგა.

ამ დროს ბუზი ოქროსთვალა მოფრინდა.

— რა ლამაზი გემი გაქვს!—უთხრა,—კარგი იქნებოდა მაგით გასეირნება!

კეთილი ჭიანჭველა დათანხმდა:

— კი ბატონო! გავისეირნოთ!

— ოღონდ იცოდე, კაპიტანი მე ვიქნები!—დაიძახა ბუზმა.

— რატომ?—გაიკვირვა ჭიანჭველამ,—იქნებ მეც მინდა კაპიტნობა!

— რას ამბობ! შენ როგორ შეძლებ?—ფრთები შეაფარფაცა ბუზმა,—ნახე მე რა დიდი ვარ, შენ კი პატარა. მოდი, შენ მესაპე იყავი. კაპიტნის საქმე რა არის! დგას ბოგაზე და ხმამაღლა გაჰყვირის: საპე მარჯვნივ! საპე მარცხნივ! გემი კი მესაპეს მიჰყავს, საითაც ის საპეს მიაბრუნებს, გემიც იქით წავა.

— კარგი!—დაეთანხმა ჭიანჭველა.—მესაპეობა მართლაც უფრო საინტერესოა.

ამ დროს რუხზურგიანი ბუზანკალი მოფრინდა.

— რა მშვენიერი გემია! ნეტავი მაგით გამასეირნა!—თქვა რუხამ.

— თუ გინდა სამივემ ერთად გავისეირნოთ, უფრო სახალისოც არის,—მიაგება ჭიანჭველამ.

— კეთილი!—გაუხარდა რუხა ბუზანკალს.—მაგრამ ბუს რა უნდა კაპიტნის ბოგაზე? კაპიტანი მე ვიქნები.

ბუზმა შეხედა—რუხა დიდი იყო, ნაცრისფერ თვალებს აბრიალებდა. მოდი და, თუ ბიჭი ხარ გაბედე შეკამათება!

— კარგი,—დაეთანხმა ბუზი,—მაშინ მე მესაპე ვიქნები.

— მე ვინღა უნდა ვიქნე?!—შესძახა ჭიანჭველამ.

— შენ მატროსი იქნები,—გადაწყვიტა რუხამ.—მატროსი იალქნებს მართავს, ღუზას წყალში უშვებს. შენ კი ჩვენში ყველაზე მარჯვე ხარ!

— რაკი ასეა, ვიყო მატროსი,—თქვა ჭიანჭველამ, ეგეც საინტერესოა.

უცებ ჭიანჭველას თავზე ვიღაც აბზუიდა. ჭიანჭველამ აიხედა და დაინახა, ყვავიდზე ვეებერთელა კრაზანა ჩამომჯდარა, ბუსუსებიანი, ზოლებიანი; გემს დასცქერის და ბოხი ხმით ამბობს:

— აი, გემიც ამას ჰქვია! რა მშვენიერია! ვინ ააშენა?

— მე, — დაიწრიპინა ჭიანჭველამ. — გინდა ჩვენთან მოგზაურობა?

— რა თქმა უნდა, მინდა! — ბოხი ხმით თქვა კრაზანამ. ოღონდ კაპიტანი მე უნდა ვიყო!

ბუზანკაღმა კრაზანას შეხედა—მიხვდა, რომ კამათი არ ღირდა!

— ეგრე იყოს! შენ—კაპიტანი, მე—მესაპე!

— მე კი მატროსი ვიქნები, სასწრაფოდ დაურთო ბუზმა.

— მე რაღა უნდა გავაკეთო?—დაიბნა ჭიანჭველა.—გემი ხომ ჩემი აშენებულია.

— რაკი მაგას აუშენებია, უნდა წავიყვანოთ, რა გაეწყობა; იუნგად იქნება და საზღვაო საქმეს შეისწავლის,—დაიბზუიღა კრაზანამ.

გემი ნაპირს მოშორდა, ტაღღებზე შეთამაშდა.

— ამართეთ იაღქნები! — ბრძანებას იძღევა კრაზანა.

ბუზი ანძაზე აცოცდა. უჰ, როგორ ირყევა ანძა! ტაღღებს ჩახედა და თავბრუ დაეხვა, „ვაიმე ახლა კი ჩავვარდებიო“, გაიფიქრა.

— ეჰეი, ჭიანჭველა! აქეთ, აქეთ მოდი! შენ იყავი მატროსი, იაღქნები დაამაგრე, მე კი ქვემოდან მოგეხმარები.

ჭიანჭველა მარჯვედ ავიდა ანძაზე. იაღქნები ამართა. გემი გაქანდა, ზვირთები ააქაფა.

— საპე მარჯვნივ, რა გემართება! ვერა ხედავ, სადაცაა მორს შეეჯახებით! — უყვირის კრაზანა ბუზანკაღს.

ბუზანკაღმა ჩქარ-ჩქარა დაატრიალა საპე და გემი დაბზრიალდა, გემბანი გადაიხარა. კრაზანა კაპიტნის ბოგადან დაგორდა, ბუზანკაღს დაეჯაღა და ბუზანკაღმა წყალში მოადინა ტყაპანი.

საქმე ცუდად დამთავრდებოდა, რომ საპესთან ჭიანჭველა არ მიპრიალიყო. მან საპე შემოაბრუნა. გემი გასწორდა და ბურგის ქარს გაჰყვა. ყოჩაღმა ჭიანჭველამ კი თოკით მარჯვედ სტყორცნა ბუზანკაღს საშველი რგოლი. ცოცხალმკვდარი რუხა გემბანზე ამოიყვანეს.

მეგობრებმა სული მოითქვეს და მიიხედ-მოიხედეს. ნაპირი არსად ჩანდა. ირგვლივ წყალი იყო. ბუზი და ბუზანკაღი გაჰყვირიან:

— კაპიტანო, შინ დაბრუნება გვინდა. საით უნდა გავცუროთ?!

— რა ვიცი! ნაპირი არ ჩანს,—ბოხი ხმით გაეპასუხა მათ კრაზანა.

— მე ვიცი! ჩრდილო-აღმოსავლეთით უნდა წავიდეთ. იქით არის ჩვენი ნაპირი! — დაარიგა ჭიანჭველამ.

მზე უკვე ტყის იქით ჩადიოდა, რომ ჭიანჭველამ თავისი გემი ნაპირს მიაყენა და ქარს რომ არ წაეღო, ტირიფის ტოტს მიაბა. კრაზანა, ბუზანკაღი და ბუზი გვერდზე მიუსხდნენ.

— მადლობა შენ, ჭიანჭველა,—უთხრეს,—შეიძლება, ხვაღ კიდევ მოვაღთ?

— რა თქმა უნდა, შეიძლება! შორს გავცუროთ. ახლა კი შინ წასვლის დროა.

თარგმნა ნინო თოფჩიშვილმა

მხატვარი მანანა მორჩილაძე

ყოჩაღი ბიჭები

ევგენი ბართაია

ტყეს ვაშენებთ, ვენახს ვბარავთ,
ვრწყავთ და ვთოხნით,
ვწამლავთ, ვფუთნით.
მამამ ასე დაგვიბარა,
ჩვენც არ ვცდებით ერთი წუთით.
თქვენ ისეთი ბიჭები ხართ,
მოსავალსაც მოიმკითო.
ვერ ჩამოვა ალბათ დიდხანს—
ფარას გაჰყვა მთაში თვითონ.

ლია და ლელა

ჟიშვარდ ისაკაძე

— პირს მე თვითონ დავიბან, რა!?—
შეეხვეწა ლიას ლელა
და ონკანთან ცალი ხელით
მარტო ცხვირი დაისველა.
პაწია და სიყვარულით
ჩაიკონა გულში ლიამ:
— ცალი ხელით პირის ბანა
ვინ გასწავლა?
— ფისუნიამ!

პაწაწინა ალმებით

ზაქარია შერაზადიშვილი

პაწაწინა ალმებით,
ნაირფერი ბუშტებით
მოვდივართ და მოგვყვება
სიყვარული უშრეტი.

უბეები მტრედებით
გამოვივსეთ ბავშვებმა,
რომ ამ ზეიმს დამშვენდეს
ცაში მათი აშვება!..

ბუნების კარი

ბუ

არჩილ ჯანაშვილი

საქართველოში ბევრნაირი ბუ ცხოვრობს; ზოგი ტყისა, ზოგი ჭაობისა (მას ზოგჯერ ბაიყუშსაც უწოდებენ); ბუკიოტი, ბუკნაჭოტი, ჭოტი, წყრომი და სხვანი. ბუ ღამის ფრინველია. დაღამებისთანავე თავისი სამალავიდან გამოდის და სარჩოს მოსაპოვებლად დაფრინავს. თვალები იმგვარად აქვს აგებული, რომ ღამის წყვდიადში კარგად ხედავს. მართალია, დღისითაც კარგად ხედავს, მაგრამ დღის სინათლე მალე უღლის თვალებს. გარდა ამისა, თუ ბუს დღისით უგავებმა, ჩხიკვებმა და სხვა მისთანებმა სადმე მიუსწრეს, მაშინვე გამოუდევნებიან და კორტნიან. ისიც, შეშინებული, საიმედო ადგილას იმალება, რომ გასაჭირს თავი დააღწიოს.

ყველა სახეობის ბუ სასარგებლოა. ისინი ანადგურებენ მავნე მღრღნელებს. ერთი ბუ წლის განმავლობაში ათასამდე თაგვისებურ მღრღნელს სპობს. ახლა ვიანგარიშოთ: ერთი მღრღნელი ერთი წლის მანძილზე სულ ცოტა ერთ კილოგრამ მარცვლეულს ხომ შეჭამს! გამოდის, რომ თითო ბუ წლის განმავლობაში განადგურებისაგან იცავს ათას კილოგრამამდე მარცვლეულს.

ერთხელ ბეღელში ვირთაგვები მომრავლდნენ და დიდძალ მარცვლეულს ჭამდნენ. ბეღელში თაგვების დასაჭერად დიდი კატა შეუშვეს. ვირთაგვებმა ისე შეაშინეს კატა, რომ გარეთ გამოვარდა. მაშინ ბეღელში ბუ ჩასვეს და მეორე დილით ცხრა თავმოგლეჯილი ვირთაგვა იპოვეს.

როგორც ხედავთ, ბუს დიდი სარგებლობა მოაქვს ამიტომ უფრთხილდებიან მას.

გულისხმიერად მოექეცით ბუს, ბავშვებო, დაიცავით ისინი ყველგან.

გიოს გასეირნება

კ. გოგიაშვილი

გიო ადგა, თავი დაიბანა, საუზმეზე ასი ცალი კვერცხი შეჭამა, საკლასო წიგნებით ტომარა ამოავსო, კისერზე ჩამოიკიდა და ეზოში გავიდა. ჩაჯდა ვერტმფრენში და გეზი კოსმოსისაკენ აიღო. ბავშვებმა ტელეფონში ჩაიხედეს და დაინახეს: გიო სკოლის ეზოში ვერტმფრენით მოფრინავდა.

— ჩვენც ჩაგვსვიო,— შეეხვეწნენ ბავშვები.

— სწავლის დაწყებას ხუთი საათი და ორმოცი წუთი აკლია, მოვასწრებთ, აბა, ჩქარა.

ყმაწვილები წალმა-უკულმა მოთავსდნენ ვერტმფრენში.

— წავიდეთ!—დაიძახა გიომ. ჯერ ქალაქს შემოუარეს. ბიჭებმა გადმოხედეს ასსართულიან სახლებს, პირამიდებს, საჰაერო რკინიგზას. როცა თბილისის ზღვას თავზე დაადგნენ, გიომ წამოიძახა:

— შეხედეთ, შეხედეთ, ზღვაში რამოდენა აისბერგებია... უნდა გადავხტე და ვიბანაო.

მერე სკოლისაკენ მობრუნდნენ. ეზოში მოსწავლეები ხეებზე ასულიყვნენ და ჭოგრიტით იცქირებოდნენ.

— მოდიან, მოდიან!—გაისმა ხმა.

გიომ მეგობრები ჩამოსვა და შინისაკენ გასწია. ვერტმფრენი სახლის სახურავზე ფრთხილად დაეშვა. შეშინებული ძაღლები სახურავიდან თავ-პირის მტვრევით აქეთ-იქით გარბოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასოები

ხან ზურმუხტისფრად ხახხასებს,
ხან თეთრად გადიპენტება,
ხან ოროველას ჰანგებში
გადაიქცევა ბელტებად.
ანბანის ოცდამეხუთე
ასო თავსართად ერგება.
მაშ იმ სატულა ცხოველის
სახელი მითხრა ეგება.

ზოთა ამირანაშვილი

გამოცანა

ოთხმა გოგონამ: ეკამ, ლიამ, ნანამ და თეამ ერთად ფოტოსურათის გადაღება მოინდომეს. ნანასთან არ დავჯდებიო,—თქვა თეამ. მე კი ლიას გვერდით არ მივუჯდებიო,—ჩაიბუზღუნა ლიამ. ბოლოს როგორც იქნა დასხდნენ. გამოიცანი რომელია ეკა? (იცოდე: ლიას ლურჯი ბაფთა უკეთია).

მაჯამურა

გიორგი წერეთელი

თუთა რა მაღალია,
მარწყვი რა დაბალია,
იქით რომ მწიფს,
რა არის?
— რა არის და.....!

●



ალექსი წამორაძე

ქათმებს ციდან
დასტრიალებს,
აწიოკებს
მისი მზერა.
რას ვეძახით
ჩვენ ამ ფრინველს
იქნებ გაიხსენო?....

კარტოფილისა და შეღებილი ჩხირებისაგან გააკეთე ასეთი ხლარბი.

ანბანი

— ხურიკო, იცი ანბანი? —ჰკითხა მასწავლებელმა პატარა მოსწავლეს.

— დიახ, პატივცემულო მასწავლებელო, კარგად ვიცი.

— მაშინ მითხარი, რომელი ასო მოსდევს „ა“-ს?

— ეველა დანარჩენი!—სწრაფად მიუგო ხურიკომ.

ეხმარეები თუკარა დედას?



ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელი მაგიდაა სწორად გაწყობილი?

გამოცანა

შინ მყავს ცალფეხა დობილი.
არც თავი აქვს და არც თვალი,
ავდარში ჩემზე მაღალი,
დარში კი ჩემზე დაბალი.

გივი ჭიჭინაძე

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ეურნალი

გამოცემის 53-ე წელი
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, ილია ანთელავა, კუკური გოგიაშვილი, ლეილა ერაძე, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ მდივანი), მანანა კობახიძე, გელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, გიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), გივი ძნელაძე, მერი წიკლაური, გივი ჭიჭინაძე.

ტექრედაქტორი ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-41-30, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფ. 93-10-32, 93-98-19; 93-98-16

გადაეცა ასაწყობად 3/III-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/IV-80 წ., ქაღალდის ზომა 60×90¹/₈, ფიზ. ნაბ. ფურცელ. 2,5, ტირაჟი 172.950. შეკვ. № 634. „Дила“ № 5. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.

76055

მერაბ ბერძენიშვილი

ბავშვებო, მარტის ნომერში გაგაცანით ქართული მხატვრობის ორი შედევრი— დ. კაკაბაძის „დედა“ და „რიონჰესი“. ამჯერად „ცისარტყელა“ გთავაზობთ გამოჩენილი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის ნამუშევრებს.

გარეკანის პირველ გვერდზე დაბეჭდილია ომში გამარჯვების სადიდებელი ძეგლი „კიდევაც დაიზრდებიან...“ ეს მონუმენტი მარნეულთან, ტრიალ მინდორზეა აღმართული. ლონივრად გაბარჯღული დგას ორი, მგლის ლეკვივით ჯიჯგვი ბიჭი და ვეება ხმალი ჩაუბღუჯავს. უკან მათ დედა უდგას. მისი ხელები თითქოს ლოცავენ შვილებს, დედის მთელი იერი კი ამბობს, დაიზრდებიან ასეთი ბოკვერები და ვაი იმას, ვინც კიდევ გაბედავს ჩვენი სამშობლოს ხელყოფასო.



თბილისში, ფილარმონიის შენობის წინ დგას „მუზა.“ ძველ ბერძნულ თქმულებებში—მითებში მუზა ხელოვნების შთამაგონებელი და მფარველი ქალღმერთია.

მ. ბერძენიშვილის „მუზა“ უალრეესად არტისტულია — მისი სხეული თითქოს მღერის, მისი მკლავები საოცარი სინარნარით გადმოსცემენ ცეკვის პლასტიკას.

ეს დიდი ქართველი პოეტის დ. გურამიშვილის ძეგლია. გურამიშვილის დროს საქართველო სპარსელებისა და ოსმალთა სარბევ-საჯიჯგნი. ჩრდილოეთიდან კი ლეკების სათარეშო ასპარეზი იყო. სიჭაბუკეში პოეტი ლეკებმა მოიტაცეს და მას შემდეგ აღარ ღირსებია საქართველოს ხილვა. ბოლოს უკრაინაში მიიწუნა მისი სიცოცხლე. იქ დაწერა „დავითიანი“, რომელშიც გამოხატა თავისი ქვეყნის ბედუკუღმართობაც და უსამშობლოო ადამიანის სიმარტოვე და ტანჯვაც.

დააკვირდით დ. გურამიშვილის ქანდაკებას. რას გეუბნებათ ის პოეტის ბედის შესახებ?

ალბათ სხვა ქანდაკებებიც გინახავთ მ. ბერძენიშვილისა — კასპში გიორგი საკაძის ქანდაკება დგას, გურჯაანში „ჯარისკაცის მამა“, ბიჭვინთაში — „მედეა“. იმათაც დააკვირდით და შეეცადეთ ამოიცნოთ მათი აზრი.